



MES 2 20 0000649367



31/07/2020

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 30/07/2020

სხდომის დაწყების დრო 11:00სთ

სხდომის დამთავრების დრო 11:20 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დავით ჭეიშვილი - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ნინო კვეციანი - შპს „აღმოსავლური საქართველოს“ დირექტორი;

თეა სიფრაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანი ლელაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28⁵ მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28⁷ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა.

1.პირველი საკითხი - შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
3.	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
4.	სწავლების ენა	ინგლისური
5.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
6.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	03/07/2020

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად ან უარი განაცხადოს განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები დეტალურად არის განმარტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნდამტკიცებულ ბრძანებაში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. იმ შემთხვევაში თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი როგორც წესი მიიღება განსახილველად. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი ეხება „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის, რომელსაც 2020 წლის 3 ივლისს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 3 ივლისის №554434 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ -

დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

მიღებული იქნეს შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით

